თანადაფინანსების ხელშეკრულება

დაბა შუახევი **01 თებერვალი, 2023 წელი**

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შუახევის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „თანადაფინანსების გამცემი"), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის, ომარ ტაკიიძის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ ,,ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის" (შემდგომში ,,თანადაფინანსების მიმღები"), წარმოდგენილი მისი გამგეობის თავმჯდომარის თემურ კაკაბაძის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ,,ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის" შუახევის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების თანადაფინანსება შუახევის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება:

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანადაფინანსების საერთო თანხა შეადგენს პროგრამის ღირებულების (206,470 ლარი) 37.5%, რაც შეადგენს 77,400 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ოთხასი) ლარს.

3.2. თანადაფინანსების თანხა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით (გაიზარდოს/შემცირდეს) ფაქტიურად განხორციელებული ხარჯების გათვალისწინებით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

თანადაფინანსების გამცემი ვალდებულია გასცეს თანადაფინანსების თანხა თანდართული დანართის მიხედვით, ხოლო თანადაფინანსების მიმღებმა მისი ხარჯვა განახორციელოს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. თანადაფინანსების გამცემი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია თანადაფინანსების მიზნობრივად გამოყენება დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული კონტროლს მერიის მხრიდან განახორციელებს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

მუხლი 6. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

6.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

მუხლი 7. დავების გადაწყვეტა

7.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

7.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს ხელშეკრულების შედგენის ადგილის მიხედვით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. მომსახურების გაწევის მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გადასცეს მესამე პირებს.

9.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნება დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი თანადაფინანსების გამცემს, ერთი ეგზემპლარი თანადაფინანსების მიმღებს).

9.4 ხელშეკრულებას დანართის სახით თან ერთვის თანადაფინანსების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

10. მხარეთა რეკვიზიტები

„თანადაფინანსების გამცემი“	“თანადაფინანსების მიმღები“
შუახევის მუნიციპალიტეტის ს/ნ 247865145	ა(ა)იპ „ახალგაზრდული ორგანიზაცია ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ ს/ნ 448389823
მის: დაბა შუახევი, თამარ მეფის ქ. №22	მის:ქ. ბათუმი ფარნავაზ მეფის ქ. #135
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22 მუნიციპალიტეტის მერი: ომარ ტაკიძე	ს.ს. „თი ბი სი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა№GE44TB7393236030100004 გამგეობის თავმჯდომარე თემურ კაკაბაძე

ხარჯები	ერთეულის დასახელება	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ	მერიის თანადაფინანსება	დონორის ბიუჯეტი
1. ადმინისტრაციული ხარჯები				**34,100**	**-**	**34,100**
1.1 ორგანიზაციის ხელმძღვანელი	თვე	11	1000	11000		11000
1.2 ფინანსური მენეჯერი	თვე	11	700	7700		7700
1.3 მუნიციპალური კოორდინატორი	თვე	11	900	9900		9900
1.4 პროექტის ასისტენტი	თვე	11	500	5500		5500
2. მომსახურების მიწოდების ხარჯები				**170,280**	**77,400**	**92,880**
2.1 პერსონალური ასისტენტი	საათი	4950	13	64350	29250	35100
2.2 მომვლელი	საათი	5775	15	86625	39375	47250
2.3 ექიმი	საათი	165	35	5775	2625	3150
2.4 სოციალური მუშაკი	საათი	165	35	5775	2625	3150
2.5 საყოფაცხოვრებო ასისტენტი	საათი	165	23.5	3877.5	1762.5	2115
2.6 ტექნიკური ასისტენტი	საათი	165	23.5	3877.5	1762.5	2115
3. ტრანსპორტირების ხარჯები				-	-	-
				0	0	0
4. სხვა ხარჯები (ოფისის და სხვა)				**2,090**	**-**	**2,090**
4.1. ოფისის იჯარა	თვე	11	0	0	0	0
4.2. კომუნალური ხარჯები	თვე	11	0	0	0	0
4.3. საკომუნიკაციო ხარჯები	თვე	11	0	0	0	0
4.4. საბანკო მომსახურების ხარჯები	თვე	11	90	990	0	990
4.5. საოფისე მასალები	თვე	11	100	1100	0	1100
სრული ჯამი				**206,470**	**77,400**	**129,070**

37.5%

62.5%

პროექტის ხელმძღვანელი
თემურ კაკაბაძე